ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23

2012 წლის 26 სექტემბერი

დ. ასპინძა

,,ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღებისა და გადასახადების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 6 აპრილის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღებისა და გადასახადების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 6 აპრილის №12 დადგენილებაში კერძოდ:

დადგენილების მესამე მუხლის პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდეს:

1. საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ალექსანდრე მელიქიძე